პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 16 ივლისი, 1944 წ. № 144 (7087). ფასი 20 კაპ.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას

ბოლშევიკური პარტია, დიდი სტალინი კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო კადრებს მოწონავე თეორიით, მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღება საშუალებას აძლევს სწორად გაერკვნენ მოვლენათა განვითარებაში და წარმატებით უხელმძღვანელონ მასებს.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ვითარებაში ჩვენს კადრებს, ბუნებრივია, უფრო მეტად მოეთხოვებათ მაღალი ოპერატიულობა მუშაობაში, იმის უნარი, რომ სათავეში ჩაუდგნენ მასების გრანდიოზულ შემოქმედებითს აღმავლობას, გადალახონ ყოველგვარი სიძნელე და დარაზმონ ფართო მასები დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის მითითებათა შესასრულებლად, ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივ გაძლიერებლად.

როდის შეუძლიათ ჩვენს კადრებს წარმატებით გაართვან თავი მათთვის დაკისრებულ საპატიო მოვალეობას?

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ყოველდღიურად ზრუნავენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური ორგანის ამაღლებისათვის, სწავლობენ ბოლშევიკური პარტიის ისტორიას, ლენინისა და სტალინის გენიალურ შრომებს, დაუცხრომლად მიისწრაფვიან გაიფართოონ თავიანთი პოლიტიკური და კულტურული ჰორიზონტი.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მარქსიზმ - ლენინიზმის პროპაგანდის დარგში დიდი მუშაობა გასწიეს. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა პროპაგანდისტული მუშაობა ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ გამოსვლასთან დაკავშირებით. პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები უდიდესი მონდომებით სწავლობენ ბელადის წიგნს, რომელშიც გენიალურად არის განზოგადებული საბჭოთა ხალხისა და გმირი წითელი არმიის გრანდიოზული გამოცდილება სამამულო ომის პერიოდში და რომელიც ახალ პირობებში მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელთათვის სისტემატურად წყობა ლექციები, კონსულტაციები, მოხსენებები, მსურველთათვის შექმნილია წრეები, რომელთაგან ბევრმა უკვე დაამთავრა მუშაობა.

კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის თვალსაჩინო მუშაობა არის გაწეული საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციებში. როგორც რაიკომების პარტკაბინეტებში, ისე საწარმო-დაწესებულებებში ტარდება ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, მომდინარე მომენტის და საერთაშორისო საკითხებზე. მუშაობენ წრეები. მომდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში თბილისში ჩატარებულია 1881 ლექცია და მოხსენება.

მაგრამ მიღწეულებთან ერთად მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დარგში დღემდე ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ დაიწყო, რომ კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლების ძირითად მეთოდს წარმოადგენს ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი, და საგრძნობლად შეასუსტა დახმარება და კონტროლი მარქსიზმ - ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის. მაგალითად, ლენინგორის რაიონში არ ეყოფენ ლექციებს, სუბრებს, კონსულტაციებს, ლექტორთა ჯგუფი არ მუშაობს. პარტკაბინეტი ამ მხრივ არაფერს აკეთებს. საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის მიუხედავად ეს ერთხელაც არ უმსჯელია კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხზე.

პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ჩატარებული ლექციების უდიდესი ნაწილი მიმდინარე მომენტს შეეხება, ხოლო საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, ეკონომიკის და ფილოსოფიის საკითხებზე ლექციები მცირე რაოდენობით იკითხება. მაგალითად, 781 ლექციიდან, რაც თბილისის კომიტეტის ხაზით ქალაქში მოეწყო, 440 მიმდინარე მომენტს შეეხება, მაშინ როცა ეკონომიკის საკითხებზე ჩატარდა მხოლოდ 23 ლექცია, ფილოსოფიურ თემებზე კი 2.

ზოგან სათანადო დახმარებას არ უწევენ წრეებზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. სამხარაძე კარგად სწავლობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას. მაგრამ საუბარში ცხადი შეიქნა, რომ ის პარტიის ისტორიის ზოგიერთ ელემენტარულ საკითხშიც კი ვერ ერკვევა.

გორის რაიისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. მაქასარაშვილმა საუბარში განაცხადა, რომ მან საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა დაამთავრა და ახლა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა შესწავლით აღრმავებს თავის ცოდნას. მაგრამ კითხვაზე, თუ რომელი წიგნი შეისწავლა პარტიის ისტორიის პირველ თავთან დაკავშირებით, მან სწორი პასუხი ვერ გასცა.

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ კარგად მომზადებული და წაკითხული ლექციები, აგრეთვე მოხსენებები სერიოზულ დახმარებას უწევენ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს. ამიტომ ლექტორთა ჯგუფები ისე უნდა მუშაობდნენ, რომ ლექციები და მოხსენებები სისტემატურად მაღალ დონეზე ტარდებოდეს. ზოგიერთ რაიონში კი ამას ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად, საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის ინსტრუქტორ - პროპაგანდისტმა დვალაძემ სიტყვასიტყვით გადასწერა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეთორმეტე თავი და ლექციის სახით კითხულობდა მას.

პროპაგანდისტული მუშაობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ენერგიული ზომები მიიღონ. მათ უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენს კადრებს მარქსიზმ-ლენინინიზმის თეორიის დაუფლებაში. ისინი რეგულარულად უნდა იხილავდნენ კადრების იდეურ - პოლიტიკური ზრდისა და თეორიული სწავლების საკითხებს ბიუროს სხდომებზე. თავიდან უნდა ავიცილოთ ლექციებისა და მოხსენებების თემატიკის შეიდგენის დროს დღემდე არსებული ცალმხრივობა, მივაღწიოთ იმას, რომ ლექციები იკითხებოდეს არა მხოლოდ მიმდინარე მომენტის, არამედ ბოლშევიზმის ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ყველა ძირითად საკითხზე. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და პარტკაბინეტი არსებითად უნდა ხელმძღვანელობდნენ სალექციო ჯგუფების მუშაობას.

ჩვენს კადრებს მუდამ უნდა ახსოვდეთ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითება, „რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც განვავდარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტურია მუშაობის შედეგები“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ამხ. ლ. პ. ბერიას მიერ აღზრდილნი დიად სტალინურ ტრადიციებზე, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონე და ლენინ-სტალინური წრთობა.

ნადავლი საჭურვლის ნიმუშთა გამოფენაზე

ნადავლი საჭურვლის გამოფენაზე მოსკოვში მიღებულია მტრის ტექნიკის ნიმუშები, აგრეთვე ხელთ ჩაიგდეს უკრაინის მე-4 ფრონტისა და ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა გერმანელების განადგურების დროს ბრიმში. საარტილერიო განყოფილებაში მიღებულია გერმანელთა თანამედროვე მძიმე ქვემეხები, დამზადებული კრუპის ქარხნების მიერ 1941 წელს, ყურადღებას იქცევს 105-მილიმეტრიანი ქვემეხები „ბოფორტი“. მათ ეკეთებული აქვთ წარწერები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქვემეხის მომსახურე პერსონალი შესდგებოდა სს-ელთა ჯარებისაგან. ეს ჰიტლერელი მტაცებლები, რომლებიც ცდილობდნენ მინსკის ციხესიმაგრეზე, მთლიანად იქნენ მოსპობილი ჩვენი არტილერიის ცეცხლო, ხოლო მრავალ ადგილს ბავშვრეული ზარბაზნები ამჟამად წარმოდგენილია გამოფენაზე.

გამოფენის საავიაციო განყოფილება შეივსო ახალი, უკანასკნელი კონსტრუქციის თვითმფრინავებით „ფოკე-ვულფ-190“, რომელზეც საბჭოთა მფრინავებს თავისი საავიაციო ზარბაზნის ჯერით დიუტრეებით უაღრესად შესაძლებელი ყალი. საინჟინრო განყოფილებაში გამოფენილია ყირიმში გერმანელებისათვის წართმეული მანქანა ზღვის წყლის სასმელ წყლად გადამამუშავებელ აგრეგატიანად. (საკდესი).

ბროშურა „სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვა დედასა და ბავშვზე“

ლენინგრადის გამომცემლობამ 100-ათასიანი ტირაჟით გამოსცა ბროშურა „სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვა დედასა და ბავშვზე“.

ბროშურაში გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 8 ივლისის ბრძანებულების ტექსტი და „პრავდის“ 9 ივლისის მიწერილი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 ივლისის ოპერაციული ცნობა

15 ივლისის განმავლობაში ქალაქ იდრიცის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ქალაქი ოკოჩკა, აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის ისაკი, ჟოვლოკი, ზუევო, ტომსინო, დუბროვკა, მალკოვო, ბელოგუროვა, ჩერნოვო.

ქალაქ სვენციანის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბუციანი, ოლიეშტი, ოკანტი, ვიდენიშკი, შეშოლი, გელვანი, დარეშანი და რკინიგზის სადგურები ბიჩანი, ოლიეშტი.

ქალაქ ვილნიუსის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ანვითარებდნენ, დაიკავეს ლიტვის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი ქალაქი და რკინიგზის სადგური ალიტუსი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კოშედარი, ბუტრიმანცი, კუნი, ნემანოიცე, დრუსკენიკი, შანდუბრა, პრივალკა, ზოლა და საკვანძო რკინიგზის სადგური კოშედარი, ჩვენი ჯარები მოადგნენ მდინარე ნემანს ალიტუსის ჩრდილოეთით და სამხრეთით 120 კილომეტრი ფრონტით, გადალახეს მდინარე მთელ რიგ უბნებზე და ხელთ იგდეს პლაცდარმები მის დასავლეთ ნაპირზე.

ქალაქ ვოლკოვისკის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე როსი, მდინარის დასავლეთ ნაპირზე ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის ზაბრუშანი, ოგრინოკი, ვოლკა, სტანკოვეი, კრასნოე სელო.

ქალაქ სლონიმის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები იზაბელინი, ლოკეზნიცა მალაია, პოროზოვო, ნოვი დვორი, ლეშაიკა, ველიკოე სელო, კოლიადიჩი, სოშიცა.

ქალაქ პინსკის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევას, დაიკავეს პინსკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ლუნინეცი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 20-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პოტრეჩიე, ველესნიცა, პაროშვიჩი, ბოგუშევო, ძვლაში და რკინიგზის სადგურები პოტრეჩიე, მოლოდეკოვიჩი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

14 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 101 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლთ ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 46 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმები სარკინიგზო კვანძ დვინსკზე, რკინიგზის სადგურებზე კობრინსა და იანუშეზე

14 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა სარკინიგზო კვანძ დვინსკზე, რკინიგზის სადგურებზე კობრინსა და იანუშეზე (ქ. პინსკის დასავლეთით). დაბომბილ იქნა გერმანელთა თავმოყრილი საბრძოლო ეშელონები და სამხედრო საწყობები.

დვინსკის სარკინიგზო კვანძზე დაბომბვის შედეგად 20-მდე ხანძარი გაჩნდა. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები მოწინააღმდეგის სამხედრო ტექნიკისანად და საომარ მასალა-ნად. ხანძრებს შორის რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა. ბომბის პირდაპირი მოხვედრით აფეთქებულია ლოკომოტივი მდგომი ეშელონი საომარ მასალითან.

დაბომბვის შედეგად სადგურ კობრინსა და იანუშეზე ცეცხლი გაჩენილა 7 სარკინიგზო შემადგენლობას. მრავალრიცხოვან ხანძართა შორის რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა. სადგურ კობრინზე, გარდა ამისა, ცეცხლი გაჩენილა საწყავის დიდ საწყობებს.

* * *

ქალაქ იდრიცის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევის განაგრძობდნენ. საბჭოთა ნაწილები სამი მხრიდან მიადგნენ ქალაქ ოპოჩკას და მის გარეუბნებში გაიჩაღეს ბრძოლა. გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ქალაქი. ჩვენმა ჯარებმა სწრაფად დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და გასწმინდეს ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი. გერმანელთა დამარცხებულმა ნაწილებმა უკან დაიხიეს მდინარე ველიკაიას იქით და ააფეთქეს ყველა გადასასვლელი. საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ საბჭოთა მებრძოლები მინტონებით, ტივებითა და ნავებით გადავიდნენ მდინარეზე. სწრაფი იერიშით ჩვენმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი ოპოჩკა — გზატკეცილების დიდნაწილველთანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი მდინარე ველიკაიაზე. ქალაქისათვის ბრძოლებში ფოსპობილია მოწინააღმდეგის 5 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. არასრული ცნობებით, გერმანელებს წაგებიათ 4 ტანკი, 160 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 112 ავტომანქანა და 6 სამხედრო საწყობი, ტყვედ წამოყვანილია 500-ზე მეტი გერმანელი.

* * *

ქალაქ ვილნიუსის დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილები წინ მიიწევდნენ ვილნიუსიუნესის რკინიგზის ხაზის გასწვრივ და ბრძოლებით დაიკავეს რკინიგზის საკვანძო სადგური კოშედარი, რომელიც 35 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ კაუნასიდან. სადგურზე ხელთ ვიგდეთ სამხედრო საწყობები, ორთქლმავლები და ვაგონები ტვირთიანად, აგრეთვე დიდძალი საჭურველი. ვილნიუსის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი გვარდიელები მიადგნენ მდინარე ნემანის მოსახვევს, სწრაფად გადალახეს იგი - და გარშემოერტყნენ ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის სამაზრო ცენტრ ქალაქ ალიტუსს. გაფთრებულ ბრძოლაში საბჭოთა ნაწილებმა ფოსპეს გერმანელთა გარნიზონი და დაიკავეს ქალაქი. წამოყენილია მრავალი ტყვე და წამოებულია დიდძალი დავლა.

* * *

ქალაქ ვოლკოვისკის ჩრდილოეთით 6 შენაერთის ნაწილებმა ფართო ფრონტით გადალახეს მდინარე როსი. მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე სცადა საბჭოთა ჯარები მდინარეში გადაეყარა. ჩვენმა მებრძოლებმა წარმატებით მოიგერიეს გერმანელთა ყველა კონტრიერიში, წინ წაიწიეს და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ამ ბრძოლების მსვლელობაში ფოსპობილია 2.000-ზე მეტი ჰიტლერელი, დამწვარი და დაზიანებულია 18 ტანკი. 6 ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 15 ქვემეხი, 46 ტყვიამფრქვეული, 112 ცხენი და 5 საწყობი საომარ მასალითანად და სურსათიანად.

დნეპრის სამხედრო ფლოტილის მეზღვაურებმა პინსკში ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 80 კატერი და კარავანი და ორი მაწყობიანი მანქანა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტორპედოსანმა თვითმფრინავმა ფინეთის უყურეში ტორპედოსანმა მოარტყა და ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი 9.000 ტონა წყალწყვილა.

* * *

ბერლინის რადიომ 14 ივლისს გადასცა შემდეგი თავმდაბალმხვევი ცნობა: „ვილნიუსში სამხედრო მხრივ დიდი მნიშვნელობის მქონე ყველა ობიექტის დანგრევის შემდეგ ამ ქალაქის მასალამ გარნიზონმა თან წამოიღო საჭურველი და საომარი მასალა, გზა გაიკაფა გარშემორტყმის რკალში და შეუერთდა გერმანიის არმიის ძირითად ძალებს. გზად ვილნიუსის გარნიზონმა ტყვედ ჩაიგდო ხელი საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების ერთგვარი რაოდენობა, აგრეთვე მოწინააღმდეგის სამხედრო მასალა“.

ბერლინელ ყალთაბანდებს ასეთი ფანდის დასმარებით სურთ დამალონ ქალაქ ვილნიუსის გერმანელთა გარნიზონის სამარცხვინო აოსასრული. ქალაქში გარშემორტყმულმა ჰიტლერელებმა მხოლოდ ხუთ დღეს გასძლეს. ვილნიუსისათვის ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა მოსპეს 8.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 5.000-ზე მეტმა გერმანელმა იარაღი დაჰყარა, ტყვედ დაგვეგდა და გზას „იკაფავენ“ აღმოსავლეთისაკენ, სამხედრო ტყვეების ბანაკებში, 13 ივლისს, ე. ი. იმ დღეს, როცა საბჭოთა მებრძოლებმა ჩაახშეს გერმანელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერები „ვილნიუსში, ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები უკვე 50 კილომეტრზე იმყოფებოდნენ ქალაქის დასავლეთით. შემშნილ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა გერმანელთა გარნიზონის გადარჩენის შესახებ. ჰიტლერელებს არ შეეძლოთ მოეკურცხლათ ვილნიუსიდან თვითმფრინავებითაც კი, რადგან წინააღმდეგობის უკანასკნელი სანი ღამე განმავლობაში ქალაქის ცენტრში მხოლოდ რამდენიშე შენობა ეკავათ.

მის შემდეგ, რაც ვილნიუსი მთლიანად იქნა გაწმენდილი ფაშისტ დამპყრობთაგან, გერმანელები 14 ივლისს შეეცადნენ 40 ტანკისა და მეავტომატეთა ბატალიონის ძალებით გამოჭრილიყვნენ ქალაქისაკენ. ჩვენი ჯარები გარშემორტყნენ მოწინააღმდეგის ამ ჯგუფსაც. იმავე დღეს გერმანელთა ტანკებისა და მეავტომატეების გარშემორტყმული ჯგუფი მთლიანად იქნა ლიკვიდირებული.

გერმანიის არმია ზედიზედ განიცდის დამარცხებას. ამასთან დაკავშირებით მატყუარებს ჰიტლერის ბანაკიდან ჭეშმარიტად გამოუვალი მდგომარეობა შეექმნათ. ამის გამო ისინი მიმართავენ ასეთ სულელურ და უნიჭო ხრიკებს.

ა. პ. ჩეხოვის საფლავის შემკობა გვირგვინებით

გუშინ, 15 ივლისს, გვირგვინებით შეამკეს ა. პ. ჩეხოვის სფლავი.

12 საათზე ნოვოდევიჩის სასაფლაოზე შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები. დამსწრეთა შორის არიან მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობები ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა, ი. მ. მოსკვინი, ვ. ი. კახალოვი, ა. კ. ტარასოვი, კ. ნ. ელანსკაია, ლ. მ. კორენევა, მწერლები ნ. ტიხონოვი, ლ. სობოლევი, ნ. ასეევი, ს. მარშაკი, ვ. შკლოვსკი, ნ. ზარიანი და სხვები.

დიდი რუსი მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრება გახსნა ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის ჩატარების სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა. პირველი სიტყვა მან მისცა მწერალს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. ტელეშოვს. ორატორი ლაპარაკობს მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ჯანყურელი კავშირის შესახებ დიდ დრამატურგთან. ჩეხოვის შემოქმედებამ, ჩვენი სამშობლოს ნათელი მომავლის მისმა რწმენამ, მისმა პატივისცემამ ადამიანისადმი, ჩეხოვის ლირიკამ და ჰუმორმა ღრმა, წარუშლელი კვალი დაჩნიეს თეატრის მთელ მოღვაწეობას.

— გვირგვინთან ერთად, — სთქვა ტელეშევმა, — სამხატვრო თეატრი საყვარელი მწერლის ღრმა სიყვარულისა და მისადმი ვალდებულების ნიშნად დღეს მის წინაშე გულწრფელად და დაბლა ხრის თავს.

სიტყვით გამოდის მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სარიჩევი. იგი ლაპარაკობს იმ კეთილშობილური მისიის შესახებ, რომელსაც ჩეხოვი ახორციელებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, დაუღალავად ემსახურებოდა რა თავის ხალხს. რუსეთის ერთგული შვილი ჩეხოვი დღესაც გაგრძობს სამშობლოს სამსახურს, იგი ზრდის თავისი ნაწარმოებებით საბჭოთა ადამიანებში შეუწყნარებლობას სულმდაბლობისა, მლიქვნელობისა და პირმოთნეობისადმი. ჩვენს საზოგადოებაში აღიზარდნენ მოწონავე, განათლებული, გამბედავი ადამიანები, რომლებზეც ოცნებობდა დიდი რუსი მწერალი.

ტრიბუნაზეა მაიორი იარუსტოვსკი. წითელი არმიის მებრძოლებისა და ოფიცრების სახელით მან სთქვა:

— ჩეხოვის წიგნები ფრონტელთა ფანტაზიელი თანამგზავრებია. მათ კითხულობენ ბრძოლებს შორის შესვენებისას, დასვენების დროს, ბლინდაჟებსა და სანგრებში. დიდი რუსი მწერლის ნაწარმოებნი ზრდიან ჯარისკაცებსა და ოფიცრებში სიყვარულს მშობლიური მიწა-წყლისადმი. ჩეხოვის რწმენა რუსი ადამიანისადმი ალფრთოვანებს ჩვენს მეომრებს სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად. წითელი არმიის საუკეთესო გვირგვინს ჩეხოვის საფლავზე დღეს წარმოადგენს მამაცი საბჭოთა ჯარების გმირეკვებანი, ჯარებისა, რომლებიც ათავისუფლებენ ჩვენს სამშობლოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

მოსკოვის მუშების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბეროვმა.

კრება დამთავრდა, გაისმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგები. მწერლის საფლავისაკენ მიემართებიან ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა და ი. მ. მოსკვინი. ისინი საფლავს ამკობენ ცოცხალი ყვავილების გვირგვინით, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „მადლიერი სამხატვრო თეატრი“. საბჭოთა მწერლების კავშირისაგან საფლავი გვირგვინებით შეამკეს ლ. სობოლევმა და ბ. ხოსიერევმა, ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის ჩატარების სრულიად-საკავშირო კომიტეტისაგან—ნ. ტიხონოვმა და დ. პოლეკარპოვმა. (საკდესი).

ფიზკულტურელის საკავშირო დღე

16 ივლისი—ფიზკულტურელის საკავშირო დღე—სოციალისტური სამშობლოს სპორტული ახალგაზრდობის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი თარიღია.

საბჭოთა ფიზკულტურელები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს წელს განსაკუთრებულ ვითარებაში ალნიშნავენ: სახელოვანი წითელი არმია დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით სამუდამოდ სწმენდს ჩვენი წმიდათა-წმიდა სამშობლოს მიწა-წყალს ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან. ამ ისტორიულ გამარჯვებებში საბჭოთა ფიზკულტურელებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი.

სამამულო ომმა მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ მშვიდობიანობის წლებში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ხაზით პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სპორტული ორგანიზაციების მიერ გაწეულმა უდიდესმა მუშაობამ სათანადო შედეგი გამოიღო.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ფიზკულტურელები სამამულო ომის ფრონტებზე გმირული ბრძოლით იცავენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და ღირსებას. ფრონტზე მყოფ მრავალ ფიზკულტურელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ათასობით სპორტსმენი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ასე იხდიან სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავიანთ ვალს ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები — საბჭოთა ფიზკულტურელები.

სამამულო ომის ფრონტებზე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების შვილების მხარდამხარ ფამირულად იბრძვიან მზიური საქართველოს ფიზკულტურელები, რომლებსაც წლების მანძილზე ზრდიდა ქართველი ხალხის საამყო შვილი ამხანაგი ლ. პ. ბერია.

საბჭოთა კავშირის გმირები ი. ციცოშვილი, ლ. ჩუბინიძე, პ. წიქარიძე, ნ. ურუშაძე, სახელოვანი მეომრები, დ. იოსელიანი, ვ. სამსონიძე, ს. გვალია, გ., ბ. ხერგიანები და მრავალი სხვა საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ არიან აღზრდილნი.

ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში. ეს სასახელო წარმატება მიღწეულია წლების მანძილზე თავდადებული მუშაობით. სამამულო ომის პირველი დღიდანვე საქართველოს ფიზკულტურელებმა საომარ ყაიდაზე გარდაჰქმნეს თავიანთი საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურის მრავალი გამოცდილი მუშაკი ფრონტზე იმყოფება, ჩვენს სპორტული ორგანიზაციებს მაინც მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ. ამას ადასტურებენ სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მასობრივი სამხედრო-თავდაცვითი და სპორტული მუშაობის შედეგები.

მაგრამ ამ მიღწეულებით ჩვენ ... უნდა შევიჩერდეთ. ... კიდევ ბევრია. ის გარემოება, რომ ომი შეეხება გადამწყვეტ ფაზაში, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალებს გააძლიერონ მასობრივი სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა. ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობამ კარგად უნდა შეისწავლოს ხელჩართული ბრძოლა, ავტო-მოტოსაქმე, გასამხედროებული ცურვა, სამთო-სათხილამურო და ალპინისტური სპორტი, გასამხედროებული ქვეითი ლაშქრობა, შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ზუსტი სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა, ცხენოსნობა და სხვ. ფიზკულტურული ორგანიზაციები კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაკავშირდნენ სამხედრო კომისარიატებსა და ყოველმხრივ დაეხმარონ მათ წითელი არმიის საბრძოლო რეზერვების მომზადებაში.

საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში მომუშავე თვითეული ფიზკულტურელი კარგი სპორტსმენიც უნდა იყოს და მაღალსაყოფიერი შრომის ოსტატიც. ამისათვის ენერგიულად უნდა იბრძოლონ ფიზკულტურის ძირეულმა კოლექტივებმა.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სისტემატურ ფიზკულტურულ მეცადინეობაში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას. ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა მასობრივი უნდა გახდეს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალი სასპორტო მოედნებისა და ბაზების, წყალსადგურების, სასროლო ტირების მოწყობას. ამასთან უნდა ჩატარდეს არსებული სასპორტო ნაგებობათა აღდგენა და შეკეთება.

ჩვენი ამოცანაა აღვზარდოთ სპორტსმენთა ახალი კადრები, რომლებიც იბრძოლებენ საბჭოთა ფიზკულტურის პოპულარიზაციისა და ახალი სასპორტო რეკორდებისათვის. უნდა გავაძლიერით პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა რიგითს ფიზკულტურელებსა და სპორტის ოსტატებს შორის.

ასეთია ამჟამად ფიზკულტურული მუშაობის ძირითადი ამოცანები. მათ წარმატებითს გადაწყვეტას უნდა დაექვემდებარონ მთელი თავიანთი საქმიანობა საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

მხურვალე სალამი მზიური საქართველოს ფიზკულტურულ ახალგაზრდობას, რომელიც ფრონტზე გმირული ბრძოლითა და ზურგში ... ბრძოლებზე ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვებას!

უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით წინ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის!

ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

15 ივლისს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერ

პარტიული ცხოვრება

გაპაძლიერებთ საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობას

მახარაძის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. შემჰედროებულ ვადებში მაღალხარისხოვნად ჩატარდა ჩაის პლანტაციების პირველი და მეორე გათოხნა. კოლმეურნეობები კარგად მოემზადნენ სეზონისათვის. ჩაის კრეფის მაისისა და ივნისის გეგმები მათ 101,8 პროცენტით შეასრულეს. მოკრეფილი ჩაი მაღალხარისხოვანია. ამ სამეურნეო წარმატებაში თავისი გამოხატულება ჰპოვა აგიტატორებისა და პროპაგანდისტების დაუღალავმა მუშაობამ. ისინი ყოველმხრივ ეხმარებიან საკოლმეურნეო სოფლის პატრიოტებს გამარჯვების მოსაღლისათვის ბრძოლაში.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 700-მდე აგიტატორი შუშაობს. ისინი თავიანთ საუბრებს მეიდროდ უკავშირებენ სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებების შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ამოცანებს.

სოფელ მშვიდობაურის აგიტატორები მოსახლეობაში ავტორიტეტით და პატივცემით სარგებლობენ. ყოველდღიურად ატარებენ საუბრებს, აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას, ამახვილებენ კოლმეურნეთა ყურადღებას ნაკლოვანებებზე, და თვითონ უჩვენებენ ომიანობის დროის ტემპებით მუშაობის მაგალითებს. მეხუთე ბრიგადამ მაისში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 64 პროცენტით შეასრულა. ასეთივე ჩამორჩენა იყო ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების დამუშავებაში. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ბრიგადის მუშაობის საკითხი და ჩამორჩენის გამოსასწორებლად ღონისძიება დასახა. აგიტატორმა ამხ. დ. კვაჭანტირაძემ ამ თემაზე ბრიგადაში საუბარი ჩაატარა. იგი სათავეში ჩაუდგა ჩამორჩენის გამოსწორებას. აგიტატორი ყველაზე ადრე გამოდიოდა სამუშაოზე, თვითონ უჩვენებდა მაგალითს კოლმეურნეებს და ეხმარებოდა ჩამორჩენილებს მოწინავეთა გამოცდილების დაუფლებაში. მალე ბრიგადაში გაუმჯობესდა შრომის დისციპლინა და თუ წინათ 10-15 კაცი გამოდიოდა სამუშაოზე, ეს რიცხვი 26-მდე გაიზარდა. ასეთი ეუშაობის შედეგად აგიტატორმა მიაღწია გარდატეხას ჩაის ფოთლის კრეფაში და ივნისის გეგმა ბრიგადამ 108,3 პროცენტით შეასრულა.

დამჯერებელი და ქმედითია სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ვეთორმეტე ბრიგადის აგიტატორ ამხ. კ. ბუჯღირის საუბრები. მას წელს 150-ზე მეტი საუბარი აქვს ჩატარებული. აგიტატორი თვითონ ამოწმებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და შედეგებს აქვეყნებს საველე გაზეთში, იბრძვის აგროწესების დანერგვისათვის. კოლმეურნეებიც მიჰყვებიან სამაგალითო აგიტატორს. ამიტომაა, რომ მეთორმეტე ბრიგადა მოწინავეა კოლმეურნეობაში და ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა მას 110 პროცენტით აქვს შესრულებული.

ასევე კარგად მუშაობენ სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადის აგიტატორი ამხ. ვ. გობრონიძე, სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის აგიტატორი ამხ. გ. როყვა, სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადის აგიტატორი ამხ. თ. ჩანჩიბაძე და სხვ.

რაიონში ჩამოყალიბებულია პარტიის ისტორიის შემსწავლელი 6 წრე. მათში გაერთიანებულია 112 მსმენელი, ამხანაგ სტალინის წიგნს — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" და პარტიის ისტორიას დამოუკიდებლად სწავლობს 1.000-ზე მეტი კაცი. რაიონში აგრეთვე შექმნილია საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი 3 წრე, რომლებშიაც გაერთიანებულია 60 მსმენელი. წრეების ხელმძღვანელად შერჩეულია კვალიფიციური პროპაგანდისტები.

პროპაგანდისტთა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად ტარდება სემინარები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, მოწყობილია სამამული ომის შესახებ ლიტერატურის გამოფენები. წელს რაიონში საკუთარი ძალებით მოეწყო 140 ლექციო-მოსმენება რომელსაც 11.520 კაცი დაესწრო. დიდი ინტერესით მოისმინეს ლექციები თემებზე — „სამამულო ომის მამდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა", „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში" და „დიდი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი".

მახარაძის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დარგში მიღწევებთან ერთად აქვთ ნაკლოვანებებიც. ამ დეფექტების აღმოფხვრით ჩვენ შეგვძლებთ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ რაიონში საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

ვ. უჯმაჯუხიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

კომუნისტები—საწარმოო გეგმის შესრულების ორგანიზატორები

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. გაბუნია) მუშაკთა კოლექტივმა სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები ნოიემბა. ექვსი თვის გეგმა ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ფაბრიკის კოლექტივმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 283,100 მანეთისა, 565,700 მანეთის ეკონომიას მიაღწია, ხოლო შრომის ნაყოფიერება 18,8 პროცენტით გაზარდა.

გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში მოწინავენი არიან ფაბრიკის კომუნისტები და კომკავშირელები. ამიტომ ფაბრიკაში საკავშირო კ. პ. (ბ) 200-ზე მეტი წევრი და პარტიის წევრობის კანდიდატი მუშაობს.

გეგმის შესრულებაში ყველას გაუსწრო მეხუთე საამქრომ, რომელსაც კომუნისტი ე. კაბაროვა ხელმძღვანელობს. ამ საამქრომ ნახევარი წლის დავალება 158,9 პროცენტით შეასრულა და საამშობლოს რამდენიმე ასი ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა. საამქროს თითქმის ყველა მუშა დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. კომუნისტები ე. ფირკანაძე და ე. ნაჩინე